ხელშეკრულება N193
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

შუახევი 24 სექტემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ **შუახევის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში _ `შემსყიდველი~), წარმოდგენილი მერის ფრიდონ ფუტკარაძის სახით და მეორე მხრივ **ა(ა)იპ „შუახევის ინტელექტ კლუბი~** (შემდგომში _ „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის **ზვიად ფუტკარაძის** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] -ე მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შუახევის მუნიციპალიტეტში **ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?"** (სპორტული ვერსია) ჩატარება.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება **2018 წლის ოქტომბრის თვეში** სსიპ შუახევის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში.

1.3. CPV79900000

1.4. **SMP180001905**

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი:

2.1.1. უზრუნველყოფს ინტელექტუალური თამაშისთვის კითხვების მომზადებას; თამაშის ჩატარების ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის და გახმოვანების აპარატურის მიტანა-გამართვას;

2.1.2. შუახევის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური თამაშის რა? სად? როდის? ჩატარებას გაუძღვება ა(ა)იპ „შუახევის ინტელექტ-კლუბის" გამგეობის თავმჯდომარე **ზვიად ფუტკარაძე.**

2.2. შემსყიდველი:

2.2.1. უზრუნველყოფს თამაშში მონაწილეობის მისაღებად მონაწილეების წინასწარ ინფორმირებას და გუნდების შერჩევას და თამაშის ლოკაციის ადგილის განსაზღვრას.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება **2244 (ორიათას ორმოცდაოთხი)** ლარით .

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება მოხდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში.

3.3 ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით

3.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა დ ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომლები .

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, **არა უგვიანეს 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;

5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;

5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შეუსრულებლობის ან/ დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02% პროცენტის ოდენობით;

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0.2% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.4ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%– ის ოდენობით;

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8. დამატებითი პირობები

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;

8.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შუახევის მუნიციპალიტი	ა(ა)იპ `შუახევის ინტელექტ-კლუბი~
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.	დაბა შუახევი, თამარ მეფის ქუჩა N12
სახელმწიფო ხაზინა	სს `ლიბერთი ბანკი~
ნ ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი LBRTGE22
	ა/ა GE39LB0115171413556000
ს/კ 247865145	ს/კოდი 447861760
მერი ფრიდონ ფუტკარაძე	გამგეობის თავმჯდომარე ზვიად ფუტკარაძე

	შუახევის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში ,,რა? სად? როდის?'' (ხარჯთაღრიცხვა)	
№	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)
1	შეკითხვერბის მომზადება-შერჩევა პროგრამული დამუშავება (პედაგოგების ჯგუფი და კითხვების მომზადების ტექნიკური ჯგუფი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1178
2	ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ტექნიკური და შრომითი ჯგუფის შრომის ანაზღაურება (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	1066
3	ჯამი	2244

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი 24 სექტემბერი 2018 წელი

ვადასტურებ , რომ შუახევის მუნიციპალიტეტში **ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“** (სპორტული ვერსია) ჩატარების მომსახურების შეყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერი: ფრიდონ ფუტკარაძე

GEORGIA AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA, HALO'S SHUAKHEVI MUNICIPALITY
24785145